ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01240463719**
თარიღი: **15/02/2024**

ადრესატი: მარიამ დიხამინჯია
პირადი ნომერი: 01001074732
მისამართი: დიდი დიღომი პ.იბერის 16ბ. ბინა 7

მოქალაქე მარიამ დიხამინჯიას

ქალბატონო მარიამ,

2024 წლის 13 თებერვლის N 19/01240441781-16 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (სს: 01.72.14.014.626, 01.72.14.014.230, 01.72.14.014.629, 01.72.14.014.255, 01.72.14.014.339, 01.72.14.014.225 და სხვა.) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული პროექტის (AR11006297) შეთანხმებისათვის სატრანსპორტო კვლევის არეალის განსაზღვრის მოთხოვნას, გაცნობებთ:

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას წარმოსადგენია:

- ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.
- საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევასთან დაკავშირებით, გაცნობებთ:

სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, საპროექტო და მიმდებარე არეალის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და გზათა ქსელის დაგეგმვის პროცესში, შეიმუშავა მიმდებარე ტერიტორიაზე **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მოდელი.**

ვინაიდან, ზემოხსენებული მოდელის შემუშავების პროცესში, გათვალისწინებული იქნა განსახილველი ტერიტორიის განაშენიანების პირობებში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე მოსალოდნელი ზეგავლენა, **სააგენტო, აღნიშნულ ტერიტორიაზე, დამატებით, ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევის წარმოებას არ მოითხოვს.**

შესაბამისად, სააგენტო სატრანსპორტო კვლევისათვის საკვლევ არეალსა და კომპონენტებს არ განსაზღვრავს.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა უნდა შეთანხმდეს სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციასთან. სააგენტოში შეთანხმების შემდეგ სქემა უნდა შეთანხმდეს საპატრულო პოლიციასთან. ამის შემდეგ, შეთანხმებული სქემა უნდა აიტვირთოს სხვა

დოკუმენტაციასთან ერთად ვებგვერდზე **www.letters.ms.gov.ge**. იმისათვის, რომ სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემასთან დაკავშირებით დააფიქსიროს პოზიცია, საჭიროა, განაცხადი აიტვირთოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით, პორტალზე www.letters.ms.gov.ge მესაბამის ნომენკლატურაში.

იმ შემთხვევაში, თუ საპროექტოდ გათვალისწინებული გზა ხვდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შეთანხმებული პასუხი.

იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი მიწის ნაკვეთთან მისასვლელი პოტენციური გზის მონაკვეთი მოიცავს სხვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების ტერიტორიას, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების მესაკუთრეთა თანხმობა.

იმ შემთხვევაში, თუ პოტენციურ გზამე ხვდება არსებული ხე-მცენარეები, წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანხმობა გზის მოწყობასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

გიორგი ნიღოსანი

სააგენტოს უფროსი





გამოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01222312207**
თარიღი: **19/08/2022**

2022 წლის 18 აგვისტოს N 01222302411-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.014.626, 01.72.14.014.230, 01.72.14.014.629, 01.72.14.014.255, 01.72.14.014.339, 01.72.14.014.225და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებასთან დაკავშირებით სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიციას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განიხილა წარმოდგენილი პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია

საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები, პერსპექტიული სატრანსპორტო გზების სქემასთან დაკავშირებით, განხილული და გათვალისწინებულია წარმოდგენილი პროექტის დოკუმენტაციაში.

დამატებით გაცნობებთ, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე წარმოსადგენი იქნება სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, სადაც გათვალისწინებული იქნება საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები. შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 2.5 მეტრი სიგანის ტროტუარი. საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შიდა ორმხრივი საავტომობილო გზის სიგანე (არსებობის შემთხვევაში) გასათვალისწინებელი ტროტუარებისგან დამოუკიდებლად შეადგენდეს არანაკლებ 6 მეტრს. **რეკომენდებულია თითოეული საპროექტო მიწის ნაკვეთისთვის გათვალისწინებულ იქნას 1 (ერთი) სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელი ან ერთი შესასვლელი და ერთი გამოსასვლელი. შესასვლელ/გამოსასვლელი მონაკვეთ(ებ)ის სიგანისთვის გათვალისწინებულ იქნას 3,5მ. აღნიშნული გადამოწმდება და დაზუსტდება სქემის შეთანხმების ეტაპზე.**

სამსახური, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის მოთხოვნილი კ2 კოეფიციენტით განაშენიანების შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღებს გენერირებული და მიზიდული ავტომობილების ზეგავლენას, რადგანაც აღნიშნული განაშენიანება აღარ განიხილება ინდივიდუალურ ტრანსპორტზე დამოკიდებულად.

ყოველი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **0123153561**
თარიღი: **02/06/2023**

2023 წლის 25 მაისის N 01231452232-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.014.626, 01.72.14.014.230, 01.72.14.014.629, 01.72.14.014.255, 01.72.14.014.339, 01.72.14.014.225 და ა.შ) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიციას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა დაგეგმილი პროექტი და წარმოდგენილი დოკუმენტაცია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ფაქტობრივი მდგომარეობისა და მიმდებარედ მიმდინარე განაშენიანების გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2022 წლის 9 ივლისის N 0122190130-67 განცხადების პასუხად N 0122193457 წერილით.

ვინაიდან, პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია, შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი